ინფორმაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№	რეკომენდაცია	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	
1	კომისიის შეფასებით, ბიუჯეტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსალოდნელი შემოსავლები. ასევე კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული პრიორიეტები;ინფრასტრუქტურული, სოციალური, განათლებისა და კულტურის მიმართულებით. მიუხედავად ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების დადებითად შეფასებისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მხარს არ უჭერს ბიუჯეტში წარმოდგენილ მთელ რიგ პარამეტრებს. ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების კორექტირების მიზნით კომისიის მიერ გამოთქმულ იქნა შემდეგი შენიშვნები და მოსაზრებები: **მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საჭიროდ მიგვაჩნია გაფართოვდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურეობის არეალი. თანმდევი ფინანსებით.**	მუნიციპალიტეტის მერია იზიარებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების გაზრდის თაობაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 06 დეკემბრის N 04-03/110968 მომართვის თანახმად 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები მიმდინარე წლის 15 ნოემბერს წარმოდგენილ პარამეტრებთან შედარებით გაიზარდა 379.3 ათასი ლარით და განისაზღვრა 12 733,0 ათასი ლარით. (პირველ ვარიანტით შემოსულობები იყო 12 353,7 ათასი ლარი) აქედან: - გადასახადები დღგს ხარჯზე გაიზარდა 309,3 ათასი ლარით და განისაზღვრა 8 468,0 ათასი ლარით (პირველი ვარიანტით დღგ შეადგენდა 8 158,7 ათას ლარს) - მიზნობრივი ტრანსფერი გაიზარდა ხარჯზე 70,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 240,0 ათასი ლარით. (პირველ ვარიანტში შეადგენდა 170,0 ათას ლარს) შემოსულობების გაზრდა იძლევა საშუალებას მოხდეს საკრებულოს შენიშვნების მაქსიმალურად გათვალისწინება. **1. მერიას მიზანშეწონილად და საჭიროდ მიაჩნია მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების არეალის გაზრდა, ამჯერად მოხდება დამატებით 10,0 ათასი ლარის გამოყოფა**
2	**ნაგვის ბუნკერების შესაძენად გაიზარდოს გარკვეული ხარჯი. რადგან არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.**	**2. ნაგვის ბუნკერების დამატებითი განთავსების მიზნით, 2023 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში დამატებით გამოეყოფა 15,0 ათასი ლარი და 25,0 ათასი ლარი მიმართული იქნება შიდა რესურსებიდან, სულ ბუნკერების შესაძენად 40,0 ათასი ლარი იქნება**

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		გათვალისწინებული ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების ხარჯთაღრიცხვით.
3	ბენეფიციარეთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით უნდა გაიზარდოს სათნოების სახლის კვების ხარჯი ერთჯერადი მომსახურებისათვის.	3.ა(ა)იპ სათნოების სახლში ბენეფიციარების მატებისა და მომსახურების არეალის გაზრდის გამო გათვალისწინებული იქნება შიდა რესურსის გამოყენება 10,0 ათ.ლარამდე და იმავე მიზნით დამატებით გამოეყოფა 5,0 ათასი ლარი.
4	მრავალბინიანი ბინების რეაბილიტაციის მიზნით, ვითხოთ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ხარჯების გაზრდას.	4.მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსება იზრდება 60,0 ათასი ლარით.
5	გაგრძელდეს უსინათლოთა მომსახურეობის სწავლების პროექტი, ამასთანავე დაზუსტდეს პროგრამის განხორციელების ვადა, დეტალები და წარმოდგენილი იქნას გასული წლის შედეგები.	5. ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ 2023 წელს კვლავ გაგრძელდება უსინათლოთა სწავლების პროგრამა, რომლისთვისაც დამატებით გამოეყოფა 12,0 ათასი ლარი და 15,0 ათასი ლარი დამატებით მიეცემა კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად.
6	გათვანისწინებულ იქნას ბიუჯეტში შესაბამისი მუხლი და დაფინანსება ახლად დაქორწინებული წყვილებზე, რომლებსაც აქვთ რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები და ვერ ახერხებენ კლინიკურ ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას.	6. ოჯახებს, რომელთაც აქვთ რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები გაეწევათ დახმარება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური დაცვის ,,სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების "ქვეპროგრამიდან და შესაბამისად დაფინანსება იზრდება 20,0 ათასი ლარით.
7	დაინერგოს ბიუჯეტში წარჩინებულ სტუდენტთა (გრანტის მოპოვების გათვალისწინებით) წახალისების სისტემა.	7.მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარჩინებული ახალგაზრდების წახალისება, რომლებიც მოიპოვებენ სახელმწიფო დაფინანსებას (გრანტს). ამ ღონისძიების განხორციელება მოხდება ახალგაზრდობის მხარდამჭერი პროგრამებიდან, შესაბამისად ამ პროგრამის დაფინანსება იზრდება 5,0 ათასი ლარით.
8	რელიგიის დაფინანსების მუხლში თანხა გაიზარდოს 10 000 ლარით (სულ 30 000 ლარი)	8. რელიგიის დაფინანსების ხარჯები იზრდება 20,0 ათასი ლარით.
9	დაფინანსება უნდა გაეზარდოს ა(ა)იპ ე. კიკნაძის სახ. სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანებას.	9. ა(ა)იპ სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების ხარჯები იზრდება 150,0 ათასი ლარით.
10	უნდა გაგრძელდეს ც ჰეპატიტის სკრინინგ პროგრამის გამოკვლევის მიზნით დაფინანსება და განისაზღვროს 3000 ლარის ოდენობით.	10 ,,ც" ჰეპატიტის სკრინინგის განსახორციელებლად ა(ა)იპ საზ. ჯანდაცვის ცენტრს დამატებით გამოეყოფა 3,0 ათასი ლარი.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
11		11.გარდა ზემოთ აღნიშნულისა მერიამ მიზანშეწონილად ჩათვალა გაიზარდოს: - განათლების პრიორიტეტი 10,0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში (მ. შ. საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის 5,0 ათასი ლარით სკოლების რეაბილიტაციისათვის 5,0 ათასი ლარით); -კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ღონისძიებები 5,0 ათასი ლარით (მ.შ.სპორტული ღონისძიებები - 5,0 ათასი ლარით) - სოციალური პროგრამები 49,3 ათასი ლარით, მ.შ.ერთჯერადი ფინანსური დახმარებაზე 40,3 ათასი ლარი და მარტოხელა მშობლების დახმარება 9,0 ათასი ლარი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხარაგაულისათვის“	
1	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის დროს დაინერგოს ახალი პრაქტიკა - მზის ენერგიაზე მომუშავე სანათების დაყენება. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებს ხარჯებს.	1. მუნიციპალიტეტის მერია იზიარებს ინიციატივას გარე განათების ქსელზე მზის ენერგიაზე მომუშავე სანათების დაყენების თაობაზე, რომელიც შეამცირებს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯებს. როგორც ცნობილია, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება. აღნიშნულ ა(ა)იპ-თან კონსულტაციის შედეგად, დადგინდა რომ აპირებენ მზის ენერგიაზე მომუშავე სანათებით ეტაპობრივ ჩანაცვლებას სხვადასხვა მცირე მონაკვეთებზე, რომლის მონიტორინგის შედეგად მიიღებენ გადაწყვეტილებას და წარმატების შემთხვევაში წარმოადგენენ პროექტს სანათების ჩასანაცვლებლად და შესაძენად.
2	გაიზარდოს მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა 16 000 ლარამდე. ადმინიტრაციული ხარჯის შემცირების ხარჯზე.	2. მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამის ბიუჯეტი იზრდება 9 000 ლარით და განისაზღვრა 17 000 ლარით. ამასთან გაცნობებთ, რომ დასაქმებულ მარტოხელა მშობლებს აქვთ შეღავათი სახელმწიფოსგან - არ ექვითებათ საშემოსავლო გადასახადი, ხოლო დაუსაქმებელ მშობლებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ სახელმწიფო დასაქმების პროგრამით. მუნიციპალიტეტიდან მათ დახმარებას რამდენიმე წლის განმავლობაში შეადგენდა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით, 2022 წლიდან ეს

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		დახმარება არის ყოველთვიურად 50 ლარი, მსგავსად სხვა ყოველთვიური დახმარების მუნიციპალური პროგრამისა და განისაზღვრება წლიურად 600 ლარით.
3	უფასო სასადილო - გაიზარდოს მომსახურების სფეროს არიალი, სოფლებიდან მოხდეს ბენეფიციარების დამატება.	3. უფასო სასადილოს დაფინანსების ხარჯები იზრდება ამ ეტაპზე 5,0 ათასი ლარით, ასევე შიდა რესურსებიდან 10,0 ათასი ლარის გამოყენებით, მომავალ წელს შესაძლებელია გარკვეულწილად როგორც ბენეფიციარების, ასევე არეალის გაზრდა. ამასთან მომართვიანობიდან და აუცილობლობიდან გამომდინარე, სოფლებში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის მოხდება მშრალი და არამალფუჭებადი პროდუქტების მიწოდება. (დანართი N 15)
4	მოხდეს ქუჩის მრეცხავი-დამასუფთავებელი სპეციალური ავტომობილის შეძენა.	.აღნიშნული ინიციატივა არის ძალიან კარგი, მაგრამ ქუჩის მრეცხავი/დამასუფთავებელი სპეცტექნიკის შეძენა ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით არის შეუძლებელი. თუმცა მერია შეეცდება ითანამშრომლოს სხვადასხვა სახელმწიფო, ან არასახელმწიფო დონორ ორგანიზაციებთან სპეცტექნიკის შესაძენად საჭირო დაფინანსების მოსაპოვებლად.